უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო

19/11/2026

MES 1 26 0001660979

გადაწყვეტილება

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმური მონიტორინგის განხორციელების მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების შეწყვეტისა და საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის კოდის ცვლილების შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის, მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე გამოვლენილი გარემოებების შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 88-ე მუხლის 25-ე პუნქტის შესაბამისად,

საბჭომ გადაწყვიტა:

1. შეწყდეს შპს საქართველოს უნივერსიტეტის (ს/კ: 205037137) „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება.
2. მიჩნეულ იქნეს, რომ „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.
3. „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაცია ჩამოყალიბდა შემდეგი სახით: მისანიჭებელი კვალიფიკაცია - ელექტრონული ინჟინერიის ბაკალავრი, დეტალური სფეროს დასახელება და კოდი (ISCED – F – 2013) – 0714 ელექტრონიკა და ავტომატიზაცია.
4. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2026 წლის 19 ნოემბრის №1661502 სხდომის ოქმის მეორე ნაწილი და მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა

შპს საქართველოს უნივერსიტეტის „ელექტრონული და კომპიუტერული ინჟინერიის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

5. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის.: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64) მისი ოფიციალურად გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს მდივანი
ქავთარია ზურაბი

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო
საბჭოს თავმჯდომარე
ჭელიძე სერგო